2-2414/20
10-02-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრების: დ. ხუნდაძის, ვ. კახაძის, ი. ნაკაშიძისა და დ. მხეიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით ინიციირებულია საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/420; 28.11.2019).

საკანონმდებლო პაკეტზე წამყვანი კომიტეტია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, ხოლო სავალდებულო კომიტეტია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

სავალდებულო კომიტეტისთვის საკანონმდებლო პაკეტის განხილვის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 11 თებერვალი.

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2020 წლის 10 თებერვალს მოგვმართა (წერილი - N2-2406/20), რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვის მიზნით კომიტეტს ესაჭიროება დამატებითი ვადა კანონპროექტის განსახილველად.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადა გაგვიგრძელოთ 30 დღით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი